პროექტი

საქართველოს კანონი

„საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე"

მუხლი 1

„საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N41, 30.12.2008, მუხ. 298) 31-ე მუხლის პირველ პუნქტს „$გ^2$" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$გ^3$" ქვეპუნქტი:

„$გ^3$) „ქონების ლეგალიზების შესახებ" საქართველოს კანონით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებული ქონების ლეგალიზების რეგისტრაცია - 14 სამუშაო დღის ვადაში - 100 ლარი, ხოლო თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთის, მცხეთის, დაბა ბაკურიანის, დაბა გუდაურის და სოფელ ანაკლიის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეულ უძრავ ნივთებზე - 14 სამუშაო დღის ვადაში - 500 ლარი;".

მუხლი 2

ეს კანონი ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი